



საქართველოს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ENPARD III-ის ფარგლებში

თანამონაწილეობითი გრანტები
მეხუთე ციკლი

ხშირად დასმული კითხვები

1. რა არის თანამონაწილეობითი გრანტი?

ENPARD III-ის ფარგლებში, FAO უზრუნველყოფს ინვესტიციების დაფინანსების ნაწილს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვებში. პროექტი ითვალისწინებს თანამონაწილეობითი გრანტების გაცემას ფერმერებზე, კოოპერატივებზე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, მუნიციპალიტეტებზე. ინვესტიცია გაყოფილია ორ ნაწილად: თანამონაწილეობითი კონტრიბუცია (უზრუნველყოფილი ბენეფიციარის მიერ) და თანამონაწილეობითი გრანტი (დაფინანსებული FAO-ს მიერ).

2. როდის და როგორ უნდა გაკეთდეს განაცხადი?

საგრანტო პროგრამა დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში და საგრანტო განაცხადები მიიღება ციკლურად პროგრამის დასრულებამდე 2022 წლის დეკემბერში. ბოლო საგრანტო ციკლი გაიხსნება 2022 წლის 11 აპრილს.

განაცხადების მიღების ბოლო ვადები განთავსებულია პროგრამის ვებ-გვერდზე განაცხადების მომზადების და წარდგენის წესებთან ერთად. ყველა განაცხადი უნდა მომზადდეს ვებ-გვერდზე და სასჭირო დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილ იქნას პროგრამისთვის შექმნილ პლატფორმაზე:

<https://enpard-grant.smapply.io/>

3. შეუძლია თუ არა განმცხადებელს წარადგინოს ერთზე მეტი საპროექტო წინადადება?

განმცხადებელს არ აქვს უფლება წარადგინოს რამდენიმე საპროექტო წინადადება ერთდროულად. თუ პროექტი დამტკიცდება, განმცხადებელს არ შეეძლება მეორე პროექტის წარდგენა მანამ, სანამ პირველი პროექტი არ დასრულდება და განხორციელდება. მთლიანი პროგრამის ფარგლებში თითო ბენეფიციარზე გაიცემა მაქსიმუმ ორი გრანტი. რაც ნიშნავს იმას, რომ თუკი განმცხადებელმა წინა ციკლების ფარგლებში უკვე მიიღო ორი გრანტი, მას აღარ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მოცემულ საგრანტო ციკლში. გარდა ამისა, მიღებულმა საგრანტო ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 150,000 ლოლარს.

4. რომელ მუნიციპალიტეტებს ფარავს საგრანტო პროგრამა?

8 ძირითადი მუნიციპალიტეტი და გორი (სპეციალური პირობებით) მიიღებს გრანტს:

8 ძირითადი მუნიციპალიტეტი
ყაზბეგი, მცხეთა-მთიანეთი
ლაგოდეხი, კახეთი



დედოფლისწყარო, კახეთი
თეთრიწყარო, ქვემო ქართლი
ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთი
ბორჯომი, სამცხე-ჯავახეთი
ქედა, აჭარა
ხულო, აჭარა

5. რომელი ღირებულებათა ჯაჭვებს ენიჭება პრიორიტეტი პროგრამის ფარგლებში?
მოცემულ საგრანტო ციკლში, ყველა ღირებულებათა ჯაჭვი არის დასაშვებ, თუმცა გარკვეული შეზღუდვები შეიძლება შეეხოს კონრეტულ აღჭურვილობებს.

6. რა ტიპის აღჭურვილობებია დასაშვები?

მოცემულ საგრანტო ციკლში დასაშველი იქნება ოთხი ტიპის აღჭურვილობა, და ისინი შერჩეული იქნება კონრეტული მომწოდებლისგან:

	ლიდერი მუნიციპალიტეტები	გორი
ნულოვანი დამუშავების სათესი (მარცვლეულისთვის)	x	x
წვეთოვანი სარწყავი სისტემა	x	
ტრაქტორები	x	
სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები (ვაშლისთვის)		x

დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის შერჩეული მომწოდებლები შეგიძლიათ იხილოთ: <http://enpard.ge/en/conditions/>

7. რა ტიპის ხარჯები არ დაიშვება ინვესტიციაში?

ნებისმიერი ტიპის ინვესტიცია, რომელიც არ არის ნახსენები მეექვსე კითხვაში არ დაიშვება.

8. რა კრიტერიუმების მიხედვით შეირჩევა განაცხადები?

პროგრამა ცდილობს მხარი დაუჭიროს ისეთ პროექტებს, რომლებსაც აქვთ მაღალი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენა.

9. რა დოკუმენტაცია იქნება საჭირო განაცხადისთვის?

წარსადგენი დოკუმენტების სია დამოკიდებულია განმცხადებლის იურიდიულ სტატუსზე. მოთხოვნილი დოკუმენტების სია შეგიძლიათ იხილოთ აქ: <http://enpard.ge/en/required-supportingdocuments/>

10. რა არის საგრანტო თანხის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა?



განმცხადებელს შეუძლია აირჩიოს მოთხოვნებთან შესაბამისი თითო აღჭურვილობის მხოლოდ ერთი ერთეული.

11. აუცილებელია თუ არა ბენეფიციარის თანამონაწილეობა?

აუცილებელია. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი ვალდებულია დაფაროს ინვესტიციის მინიმუმ 60%. სპეციალურად წახალისებულ ინვესტიციებში ბენეფიციარის თანამონაწილეობა მცირდება 40%-მდე. გთხოვთ იხილიოთ სპეციალურად წახალისებული ინვესტიციების ჩამონათვალი ბმულზე: <http://enpard.ge/en/list-of-specifically-promoted-equipment-investments/>

12. რას გულისხმობს თანამონაწილეობა?

ბენეფიციარის თანამონაწილეობა უნდა იყოს ნაღდი ფული და უნდა იქნას გადახდილი პირდაპირ მიმწოდებლისათვის. არაფულადი კონტრიბუცია (ადამიანური შრომა, შემოწირულობა მიწის ნაკვეთის სახით, აღჭურვილობა და ა.შ.) ან სხვა დონორის დაფინანსება არ განიხილება როგორც ბენეფიციარის კონტრიბუცია. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შეღავათიანი აგრო-კრედიტი, რომელიც ამცირებს საპროცენტო განაკვეთს შესაბამის სესხებზე.

13. რა ოდენობისაა FAO-ს კონტრიბუცია?

FAO-ს კონტრიბუციის მაქსიმალური ოდენობაა 40%, გარდა სპეციალურად წახალისებული ინვესტიციებისა. სპეციალურად წახალისებული ინვესტიციების შემთხვევაში, FAO-ს კონტრიბუცია შესაძლოა გაიზარდოს 60%-მდე.

14. დასაშვებია თუ არა საბანკო სესხის გამოყენება ბენეფიციარის თანამონაწილეობად?

დასაშვებია. სესხის დამტკიცების წერილი ბანკიდან შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბენეფიციარის თანამონაწილეობის შესაძლებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

15. რა ხდება განაცხადის შერჩევის შემდეგ?

მას შემდეგ რაც გრანტი დამტკიცდება, FAO დაუკავშირდება განმცხადებელს საინვესტიციო გეგმის შესათანხმებლად და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, განმცხადებელმა უნდა გადაუხადოს თავისი თანამონაწილეობრივი კონტრიბუცია ხელშეკრულებაში მითითებულ მომწოდებელს.

16. შეუძლია თუ არა განმცხადებელს, რომელიც ცხოვრობს ENPARD-ის მუნიციპალიტეტის გარეთ, თუმცა ფლობს მიწას იქ, მიიღოს მონაწილეობა კონკურსში?

დიახ. თუკი განმცხადებლის ბიზნესი დაფუძნებულია დასაშვებ მუნიციპალიტეტში, განაცხადის წარდგენა მისაღებია.

17. შეუძლია თუ არა ფიზიკურ პირს განაცხადის წარდგენა?

დიახ, ფიზიკურ პირს შეუძლია განაცხადის წარდგენა. თუმცა, იმ შემთხვევაში თუკი მისი განაცხადი შეირჩევა, ის უნდა დარეგისტრირდეს ინდივიდუალურ მეწარმედ.



18. როგორია საგრანტო თანხების მიღების პოლიტიკა?

საგრანტო თანხა გადაირიცხება პირდაპირ მიმწოდებელთან მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი გადაუხდის მიმწოდებელს თანამონაწილეობის თანხას და მიიღებს აღჭურვილობას. აღჭურვილობის ჩაბარება შემოწმდება საველე ვიზიტის ხარჯზე.

19. ვინ აფასებს განაცხადებს და როგორია პროცედურა?

მოცემული საგრანტო ციკლის ფარგლებში, ყველა გადახედვა ხორციელდება პირდაპირ FAO-ს მიერ. FAO-ს განმახორციელებელი პარტნიორი, CNFA, გაწევს დახმარებას საველე ვიზიტების ჩატარებისას. ყოველი განაცხადი გაივლის შემდეგ ნაბიჯებს:

1. განაცხადის წარდგენა
2. განმცხადებლის პროგრამასთან შესაბამისობისა და ბიუჯეტის შემოწმება
3. წარდგენილი დამხმარე დოკუმენტების წინასწარი შემოწმება
4. სავერიფიკაციო საველე ვიზიტი
5. პროექტის ტექნიკური შეფასება
6. საბოლოო შეფასება - განაცხადების განხილვის კომისია (ARC) , რომელიც მოიცავს ევროკავშირის (EU), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) წარმომადგენლებს.
7. საგრანტო ხელშეკრულების მომზადება და ხელმოწერა

პროექტის უარყოფის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილება არის საბოლოო და შეუქცევადი.

8. თანამონაწილეობრივი კონტრიბუციის გადახდა და ინვესტიციის ჩაბარება
9. საველე ვიზიტი აღჭურვილობის მიწოდების შესამოწმებლად
10. თანამონაწილეობრივი გრანტის მიმწოდებლისთვის გადახდა
11. მონიტორინგისა და შემოწმების ვიზიტი

დამატებითი ინფორმაცია საგრანტო ციკლის შესახებ ხელმისაწვდომია:

<https://eu4georgia.eu/fao-grants-howtoapply/>